არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტი

ვლ. აბაშიძე

თემის ხელმძღვანელი

პროფ. მაია დავითაია



აფრიკული არქიტექტურა

არქიტექტურა განსხვავდება იმ პირობებით, რომლებიც განისაზღვრებიან რეგიონის განვითარების თავისებურობით და კონტინენტის კლიმატური პირობებით. აფრიკის ჩ.ა-ში, ნილოსის ხეობაში (სუდანი) ეთიოპიის ტერ.-ზე, სადაც დაფიქსირებულია განუწყვეტელი კულტ. ტრადიციის არსებობა სამშენებლო საქმიანობის ძეგლები ცნობილი არიან ყველა ისტორიული ეტაპისთვის, დაწყებული ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქებით, იმის გამო, რომ მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ ძველი და შუა საუკუნეების ეგვიპტურ, ნეოლითური საჰარისა და ძველი არაბული სამეფოების საბასა და მინოსის ცივილიზაციებთან. რაც შეეხება ტროპიკული და ს.ა-ის არქიტექტურაზე წარმოდგენას გვაწვდიან მეგალითები და სამარხები, რომელთა დათარიღება რთულია, ისევე როგორც არაბული კოლონიზაციასთან და

ისლამიზაციასთან დაკავშირებული ძეგლები ა-ის ა. სანაპიროზე, შუასუკუნეების ქალაქების ნანგრევები და მოგზაურთა აღწერები. რეგიონალურ ხასიათს აგვიღწერს უკეთ შესწავლილი სახალხო არქიტექტურა, რომელიც ასახავს ძველ სამშენებლო გამოცდილებას და დღემდე რჩება ავტოქტონური ტრადიციების მატარებლად. ევროპულ კოლონიზაციას თან ახლდა მთელს აფრიკაში ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმების ჩასახვა და შედეგად ჰქონდა უსახო კოლონიური არქუტექტურის კოსმოპოლიტური სტილი. თანამედროვე აფრიკული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორია კი იწყება დამოუკიდებელი აფრიკული

სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ.



ტრ.და ს. ა-ის მონუმენტური არქიტექტურის მთავარი თავისებურება – ერთი და იგივე ტიპის ნაგებობის სხვადსხვა დროულობაა. მეგალითები ეთიოპიის ტერიტორიაზე (მენჰირები და

დოლმენები) თარიღდებიან ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქებით, ხოლო მეგალითები ნიგერიაში (გრანიტის სვეტი ქალაქ იფეში, წრიულად ჩაყენებული ანტროფომორფული ქვის სვეტების საკულტო ნაგებობები) მიეკუთვნებიან შუასაუკუნეებს. საერთოდ მენჰირები, რომლებიც აშკარად სხვადასვა აფრიკული ტომის სარიტუალო ჩვევებს უკავშირდებიან – დას. ა-ის მრავალ ადგილას იქნა აღმოჩენილი - ბურკინაფასო , გამბია,გვინეა, ნიგერი და მალი, სენეგალი და ტოგო. ისინი მიწაში ჩამარხულ ცილინდრულად ან პრიზმტულად, ხანდახან ფიგურულ მონოლითებად თლილ, სიმაღლით 2 მეტრამდე, ჯაჭვურად ან ჯგუფებად, წრეში ჩაყენებულ სვეტებს წარმოადგენენ და ზოგჯერ 900 ქვამდე ითვლიან. ზოგიერთ მენჰირს წვეტოვანი დაბოლოოებაც აქვს, ზოგიერთო კი შემკუულია ამოკაწრული ლინეალური ზიგზაგისებრი ორნამენტით. სამარხ ნაგებობათა შორის ყველაზე გავრცელებულს და სავარაუდოდ ყველაზე ადრეულს წარმოადგენენ სხვა და სხვა ზომის და ფორმის ყორღანული ბორცვები – თუმულუსები (150მ. დიამეტრით), ხოლო უფრო განვითარებული არქ. ფორმა აქვს „შუშის“ ეს არის დაბალი , საჰარასა და მავრიტანიაში გადაჭრილი კონუსის 5-6მ. დიამეტრის ცილინდრული სამარხები ან, ჩადში მდ. ნიგერის ხეობაში, იატაკისა და გადახურვის გარეშე, ბეჭდისებრი ქვის წყობით შექმნილი და ზემოდან მიწა მოყრილი, მიწისქვეშა კამერაში მიმყვანი იპოგეებითა და პანდუსიანი შახტებით აღჭურვილი და ტოტებით გადახურული სამარხები.

მონუმენტური არქიტექტურის განვითარება ჩრდილო აღმ. ა-ში დაიყვანება ღრმა წარსულამდე. სუდანის ტერიტორიაზე, ქუშის ძველ სამეფოში ის დაკავშირებულია ეგვიპტელთა ექსპანციასთან, რომელთაც ჩვ. წ.- მდე 2 ათასწლეულში აქ დაარსეს თავიანთი

დასახლებები და სამხედრო გამაგრებები (სემნა, კუმა). სუდანის არქიტექტურა 2 ათასწლეულის განმავლობაში ვითარდებოდა ძველი ეგვიპტური ხუროთმოძღვრების უწყვეტი ზეგავლენის ქვეშ და ასახავდა მის სტილისტურ ცვალებას, მათ შორის პირველ საუკუნეებში რომაული არქიტექტურის ელემენტების შეღწევას.

ადგილობრივი და ეგვიპტური ტრადიციების შერწყმამ მოახდინა მეროიტული სამეფოს თავისებური არქიტექტურული სკოლის ჩამოყალიბება.(6ს ჩვ.წ-მდე და 4 ჩვ.წ-ით). ეთიოპიის ტერ.-ზე 1 ათასწლეულის შუიდან, განვითარდა საბას ტიპის არქიტექტურა, ძველი ხალხების არაბეთიდან გადმოსახლების შედეგად, რომლის კონსტრუქციული თავისებურებები აისახა აქსუმის სახელმწიფოს თვითყოფად ქვის ხუროთმოძღვრებაზე (საირიგაციო ნაგებობები, დარბაზები, ტაძრები, მონოლითური ქვის სტელები და ვოტივური ტახტები მდიდარი დეკორაციებით). აქსუმის გაქრისტიანებით ჩამოყალიბდა ადრექრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი სკოლა. 3 ნავიანი და 3 ნაწილად გაყოფილი, კვადრატული კანკელით ეკლესიების გეგმარება ჰპოულობს პარალელებს ჩრდ. ა-ის ადრექრისტიანულ შენობებში. ხის ჭრას ჭერზე ეტყობა კოპტური კულტურის ზეგავლენა ისვე როგორც კავშირი ანტიკურ და ირანულ სასანიდურ ორნამენტებთან. სუდანის ადრეული შუასაუკუნეების



ხუროთმოძღვრებაში ერთმანეთს ერწყმება მეროესა და აქსუმის ტრადიციები; ქრისტიანობის



გაძლიერებით კი მატულობს კოპტური ზეგავლენა.

ეთიოპიის შუასაუკუნეებში აქსუმის არქიტექტურული საგანძური განვითარდა 12-13სს. ლალიბელას კლდოვან ტაძარ ციხესიმაგრეების კომპლექსებში. 14ს. წარმოიქმნა ეკლესიის ახალი ტიპი ცენტრალური მრგვალი სანათურით.17 ს. ეთიოპიური ქალაქთმშენებლობის

მაგალითად იქცა ახალი დედაქალაქი- გონდერი. გვიანდელი შუასაუკუნეების ციხე სიმაგრეების ხუროთმოზღვრებაში ერთმანეთს საოცრად ერწყმის ადგილობრივი და ევროპული (პორტუგალიური) არქიტექტურული ფორმები.



10-13სს. ში ჩრდ. აღმ. სუდანში არაბ-მუსულმანთა შემოღწევით დაიწყო ქრისტიანების განდევნა და აღმ. სანაპიროზე არაბული საპორტო ქალაქების აღმოცენება (მოგადიშო, მომბასა, გედი). შირაზიდან (ირანი) გამოსულთა მიერ დაარსდა პორტი ქილვა. თუმცა აფრიკის ნიადაგზე უცხოური ტრადიციები არ იქნა გათავისებული. ადგილობრივი სამშენებლო მასალები და კლიმატური თავისებურებები ხელს უწყობდნენ განსაკუთრებული ქალაქმშენებლობითი პრინციპებისა და არქ. ფორმების ჩამოყალიბებას. ქალაქები (18-20ჰა ფართობით) კუნძულებზე და წყალჭარბ ადგილებში (სრუტეებში, არხებთან და ლაგუნებზე) იშვიათად მაგრდებოდნენ დაბალი კედლით. ადგილობრივი ქვით აშენებულ შენობებს, აპირკეთებდნენ. ცილინდრულ გადახურვაში გამოყენებულ მანგრის ხის ტოტების მცირე სიდიდე (სიგრძით 2.8 მ) კარნახობდნენ ვიწრო და გრძელი შენობების ფორმას. ცილინდრულ სახურავებს წვიმისგან თავდასაცავად უკეთებდნენ თხელი ქვის პლიტებს და ფილით ამუშვებდნენ. გუმბათში შეუღლების კონსტრუქციებს იშვიათად ხმარობდნენ. შენობებს აპირკეთებდნენ თლილი ქვით და 15ს-დან მოპირკეთებაში ამაგრებდნენ წინა აზიიდან შემოტანილ მოჭიქულ თეფშებს. ყრუ კედლით შემოსაზღვრული საცხოვრებელი სახლები,

ჯგუფდებოდნენ ეზოს 2-3 მხრიდან. სასახლეები საცხოვრებელი სახლებისგან განსხვავდევოდნენ სთავსოების რაოდენობით და სიდიდით (გედი). ტროპიკულ აფრიკაში ყველაზე დიდი სასახლე გახსნილია ქილვაში.აღმოსავლეთ აფრიკის საკულტო არქიტექტურაში ჩამოყალიბდა მეჩეთის უნიკალური ტიპი სამნავიანი ბაზილიკური დარბაზით, რომელიც იყოფოდა ხის ან ქვის სვეტების 2 ან 4 რიგით. ჩრდილოეთ კედელზე ჰქონდა მიჰრაბი და ჩვეულებისამებრ ბრტყელი გადახურვა. ნეკროპოლისებს ახასიათებდათ დაბალი ქვის ღობეები და ერთ ერთ კედელში ჩაშენებული გეგმაში კვადრატული ან ოქტოგონალური სვეტით.

თვითყოფადობით, სიმდიდრით და მრავალფეროვნებით განსხვავდებოდა ჩრდილო დასავლეთი და დასავლეთი აფრიკა ეგრეთ წოდებული „ქალაქების ქვეყანა“. მრავალი ქალაქი აღმოცენდა საქარავნო ვაჭრობის გზებზე. მავრიტანიის სამხრეთ საზღვართან გათხრების შედეგად აღმოაჩინეს შუა საუკუნეების განას დედაქალაქის კუმბი-სალეს ნანგრევები, რომლის ქვის არქტექტურამ გავრცელება ჰპოვა მავრიტანიის ძველ ქალაქებში _ ტიშიტე, სუადანე, შინეტი, სადაც გავრცელებული იყო 2-3 სართულიანი ფიცრის შენობები სწორკუთხა ვიწრო სათავსებით, რომლებიც ნიავდებოდნენ კედლის წყობაში დაყვანილი სამკუთხა ღიობებით. ისინი თავისთავად შიგნით კიდევ ნიშებს მოიცავდნენ და მოპირკეთებულები იყვნენ. მავრიტანიის მყუდროდ გაშენებული დაკლაკნილი ვიწრო ქუჩებიანი ქალაქები შენდებოდა მდინარე უედოს ნაპირებზე, კლდეებს შორის, მრუდე ამაღლებაზე და როგორც

წესი არ ჰქონდათ თავდაცვითი ნაგებობები. მალის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ქალაქები გაო, ჯანე, ტომბუქტუ, ნიანი- აღმოცენდნენ მდინარე ნიგერის გასწვრივ სავაჭრო პორტებად. წყლის დონის ცვალებადობა განსაზღვრავდა ქალაქების ორმაგ სტრუქტურას მაღლა და დაბლა ნაწილებით, რომლებსაც მიესადაგებოდა 2 ნავსადგური. დინებით დაცულ ქალაქებს მხოლოდ იშვიათად აკრავდათ დაბალი კედელი (ჯენე, ტომბუქტუ)ჰქონდათ ასიმეტრიული ფორმები და დაკლაკნილი ქუჩების ქსელი თიხის განაშენიანებით. ჰაუსის ხალხის მსხვილ ქალაქებს (სოკოტო, კანო, აზარია)გარს აკრავდათ მკვრივი თიხის კედლები (სიმაღლით 15მ-დე სიგრძე 18 კმ.) და ეკლიანი ბუჩქების თხრილი. გალავანი ნაგებობების გარდა მოიცავდა მიწებს. დიდი რაოდენობის ტყავით შემოსილ კარიბჭეებით სწორ ქუჩებს მივყავდით ცენტრალური მოედნისკენ სასახლით, მეჩეთით და ბაზრით. მსგავსი ფორმა ჰქონდათ იორუბის ქალაქ სახელმწიფოებს და ქალაქ ბენინს ნიგერიაში. გვინეის ყურის სანაპიროს გასწვრივ ქალაქები ფუძნდებოდნენ ბელადის რეზიდენციისათვის და ტომების საკულტო ცენტრებისთვის. შუა საუკუნეების იფეს ოვალური ტერიტორია გარშემორტყმული იყო თიხის კედლით და სექტორებად გადანაწილებული. ქალაქის ცენტრში იდგა სასახლე და ბაზარი. ბონო- მანსო, აკანის ომან ბონოს დედაქალაქი არ იყო გამაგრებული; მთავარი მერიდიანული ქუჩიდან აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ გადიოდა რამდენიმე ქუჩა, რომლებიც ქალაქს 2 სართულიანი თიხის სახლებით გაშენებულ 7 კვარტალად ჰყოფდა.

ხოლო მთავარი ქუჩის აღმოსავლეთ ნაწილში იდგა სამსართულიანი სასახლე.



დასავლეთ აფრიკის არქიტექტურაში გამოიყოფა რამდენიმე სკოლა, რომლებიც ერთმანეთისგან სხვავდებიან ძირითადად სამშენებლო მეთოდების სახეებით; დასავლეთ სუდანის რეგიონებში (მალი, ბურკინაფასო, ჩრდილოეთ განა) იშვიათ მაგრამ მძლავრ წვიმებიან კლიმატთან შეგუების გამო ჩამოყალიბდა ე.წ. დასავლეთ სუდანური სტილი. დამახასიათებელი თიხის ნაგებობების სქელი ფორმებით. კონტრფორსებიანი მეჩეთები და მინარეთები გამაგრებულია ჰორიზონტალურად დალაგებული მორებით, რომელთა

დაბოლოებაც გამოყვანილია გარეთ, ფასადების განახლებისათვის წვიმების შემდეგ. გაუყოფელ მონოლითურ ფორმებთან ერთობაში ისინი შენობას საომარ ხასიათს ჰმატებენ. ჰაუსის ხალხის არქიტექტურას ახასიათებს ალიზის აგური თიხის მოპირკეთებით და მრავალნაირი თაღოვან- შემაუღლებელი კონსტრუქციები თიხისა და პალმის ტოტების არმატურისგან, რაც შესაძლებელჰყოფდა შენობისათვის 12 მეტრის სიმაღლის მინიჭებას; ფასადები გაფორმებული იყო ლინეალური ორნამენტებით რელიეფური გეომეტრიული თარგებით. ნიგერის ზედა ყელში სახლებს ახასიათებდათ მაღალი ვიწრო პორტალები. განაში აშანტის ნაგებობებს დაწნული თიხის კონსტრუქცია ჰქონდათ და შევსებული იყო თიხით ან ალიზით. სამხრეთ აფრიკაში მონუმენტალური ქვის ხუროთმოძღვრების განვითარებაზე მოწმობენ ზიმბაბვეს ნანგრევები. 11-12 სს. გამაგრებათა ციკლოპური წყობა 15ს. შეიცვალა შიშველი ბლოკების რეგულარულ ხვეულად: კედლები ოვალური ტერიტორიის ირგვლივ, რომელიც ჩვეულებისამებრ მრგვალი ქოხებით იყო ჩაშენებული, ბოლოვდებოდნენ ქვის პლიტებითა და წიწვის ფორმის კბილანებით. ზიმბაბვეს ტერიტორიაზე არმოაჩინეს 150 ასეთი ნაგებობა, მაგრამ მათ უფრო ვრცელი განვითარების არეალი ჰქონდათ, ამდაგვარი 15ს.

გამაგრებები მოიპოვება ტრანსვალშიც, ბოცვანაშიც და ჩრდილოეთით დარფურში.



15 ს ბოლოდან, ევროპელთა შემოჭრამ, რომლებიც აფრიკის დაპყრობის ფაქტს ამყარებდნენ ციხესიმაგრეების ფორტების და სავაჭრო ფაქტორიების მშენებლობით, საფუძველი ჩაუყარა კოლონიური არქიტექრურის განვითარებას. თავიდან დასავლეთ, ხოლო 16 ს-დან აღმ. და სამხ. აფრიკაში, კოლონისტები (პორტუგ, ჰოლანდ.)ნერგავდნენ მათთვის ჩვეულ არქიტექტურულ ფორმებს და მშენებლობის მეთოდებს. არ კმაყოფილდებოდნენ რა ადგილობრივი მასალებით შემოჰქონდათ ქვა (პორტ) და აგური (ჰოლ)16-17სს. ძირითადად მართკუთხა მაგრამ ხანდახან რომბისებრ ციხესიმაგრეებს აძლიერებდნენ დაქანებული კედლების მქონე ბასრ კუთხიანი ბასტიონებით. კოლონისტების პროვინციული ვარიანტის ნაგებობები ასახავდნენ მეტროპოლიის ძირითად ნიშნებს. მაგალითად პორტუგალიური ბაროკოს გამარტივებული

ფორმები ლუანდაში. და მისადაგებულ იქნენ ადგილობრივ პირობებს. ევროპელების მიერ აშენებული ქალაქები გეგმარდებოდნენ რეგულარული გეგმით ეკლესიებითა და ლერწამის სახურავებით, მაგრამ შემდგომ მათი განვითარება მიმდინარეობდა სტიქიურად. კვალიფიცირებული არქიტექტორების თანდასწრება არ ითვლებოდა საჭიროდ. ქალაქების რაიონიზირება რასობრივი და ეთნიკური ნიშნით გახდა დამახასიათებელ ნიშნად; ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა ქოხებში მთიან მიდამოებში. ქალქგარე ადგილები გაივსო ბიდონვილებით: კანისტრებით, ყუთებით და ჩვრებით აგებული საცხოვრისთა საწყალობელი მსგავსებებით. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა დამოკიდებულება კოლონიების არქიტექტურასთან, რომლის შექმნაშიც მონაწილეობის მიღება დაიწყეს გამოცდილმა ევროპელმა არქიტექტორებმა და ინჟინრებმა. ზომები იქნა მიღებული ქალაქ გეგმარებისა და გაშენების გაუმჯობესებისთვის. მაგ. გამოიმუშავეს კამპალის (უგანდა), ნაირობის (კენია) და თანამედროვე განის ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმები. ტიპიური კოსმოპოლიტური ქალაქის იერი მიიღეს ზიმბაბვეს ქალაქებმა ბიზნესცენტრებითა და გაშენებული ცათამბრჯენებით. 50-იან წლებში ჩამოყალიბდა ე.წ. ტროპიკული სტილის ფორმები, მისთვის დამახასიათებელი ეკლექტური თანამედროვე სახლებით ბეტონის, შუშისა და რკინისგან, რომლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცათ მზისგან დამცავ და სავინტილაციო მოწყობილობებს.

საკუთრივ აფრიკის თანამედროვე ხელოვნების განვითარება დაიწყო მისი განთავისუფლების შემდეგ კოლონიალური ბატონობისგან. ქალაქმშენებლობის შესახებ აფრიკულმა კონგრესმა (აბიჯანი 1961 წ) გამოჰყო დავალებები ქალაქების რასობრივი გადანაწილების

ლიკვიდაციისთვის, გეტოების განადგურებისთვის, მთიანი რეგიონების გაჯანსაღებისთვის ისევე როგორც იმ საქლაქთმშენებლო ფორმების ძიებისთვის, რომლებიც უპასუხებდნენ ცალკეული ქვეყნების მოთხოვნილებებს. სოციალურმა გარდასახვებმა წინ წამოწიეს მასალური საცხოვრებელი მშენებლობის პრობლემა: გეტოები თანდათან ადგილს უთმობენ ეზოიანი ტიპის 1-2 სართულიან ეკონომიურ სახლების კვარტალებს. გაჩნდა აუცილებლობა სამთავრობო ცენტრების, კულტურული დაწესებულებების, სპორტული კომპლექსების შექმნაში. ყველგან შენდება საავადმყოფოები და სკოლები, უნივერსიტეტები სტუდენტური ქალაქებით, ტექნიკუმები, პროფესიული სასწავლებლებით, ისევე როგორც ბაზრები, მრავალსართულიანი სასტუმროები, საწარმოო შენობები, აეროპორტები. ქალაქების დაგეგმარებაში ასევე მონაწილეობდა ბერძნული ფირმა დოქსიადისი. ბევრს აშენებენ ფრანგი არქიოტექტორები (შემეტის სტუდია). გაძლიერდა სპეციალისტების ნაკადი ნორვეგიიდან, შვეციიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან. უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება აფრიკელი ხუროთმოძღვრების კონტრიბუცია, რომლებიც ახლა განათლებას იღებენ არა მარტო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, არამედ განის, ნიგერიის და კენიის არქიტექტურის ფაკულტეტებზე. ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის არქიტექტურა, რომელიც ასახავს ძირითადად თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის ფორმებს, იმყოფება ადგილობრივი სკოლების განვითარების გზაზე, მათ ჩამოყალიბებაში კი უდიდეს როლს ითამაშებენ ეროვნული შემოქმედებითი კადრები - არქიტექტორები, ფერმწერები, მოქანდაკეები.